N484 2015 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/11/2013, 010240030.10.003.017464) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის:

1. მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.რ“ და „გ.ს“ ქვეპუნქტები:

„გ.რ) თავდაცვის სისტემის რეფორმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავებას;

გ.ს) თავდაცვის სისტემის რეფორმების კოორდინაციასა და მონიტორინგის უზრუნველყოფას.“.

2. მე-4 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის „რ.ე“ და „რ.ვ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**